№ 107. 22 მაისი, ხუთშაბათი. 1866—1880 22 მაისი, ხუთშაბათი № 107

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

რუსნისმეიდანზე, უსაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რეუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით . . . ტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

სახაზინო თეატრში

სამშაბათს, 27 მაისს

## ბენეფისი

სუფლიორის გრ. ყიფშიძისა

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## კინტო

კომედია სამს მოქ. თ. ა. წერეთლისა

II

ყველაფერი ბედი ყოფილა!

ვოდევ. 1 მოქმედ. ა. მოჩხუბარიძისა

III

დივერტისმენტი

ბილეთები იხყიდება აზნაურთვის მაღაზიაში და თეატრის კასაში

დასაწყისი 8 საათზე

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 20 მაისს. „მმართებლობას მოამბეში“ დაბეჭდილია: ვარშავის გენერალ-გუბერნატორი კოცებუ თავის თხოვნით, ავათმყოფობის გამო, დათხოვნილია სამსახურიდამ; იმის მაგიერად დაინიშნა ვილნის გენ.-გუბ. ალბედინსკი; ალბედინსკის თანამდებობაზე დანიშნულია ოდესსის გენ.-გუბ. გრაფი ტოტლებენი და ტოტლებენის მაგივრად ადრინდელი შეფ-ჟანდარმი დრენტელნი.

პეტერბურღის ბირჟა, 20 მაისს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 93 | 50 |
| მეორესი — — — — — | 92 | 25 |
| მესამესი — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 93 | 50 |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 90 | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90 | 50 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 90 | 75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — — | 7 | 73 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — . — | „ | „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 228 | „ |
| მეორე სესხის — — — | 220 | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 | 50 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 217 | 25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 268 | 75 | სანტიმი |
| ვენა — — — | 128 | 37 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## პურის გაიაფებისათვის

ტფილისი, 21 მაისს.

„საზოგადო გაჭირებას საზოგადო დახმარება ეჭირება!“—ჩვენ არ მოგვწყინდება, არ მოგვბეზრდება ამ სიტყვების გამეორება, ამ ყოველ საზოგადოებისა და მთელ კაცობრიობის ცხოვრების უპირველეს კანონის თქმა, სანამ არ დავინახავთ, რომ ეს ჭეშმარიტება და კანონი ცოტათი მაინც არგასჯდომია ძვალსა და რბილში ჩვენს საზოგადოებას.

საზოგადო გაჭირება კარზე გვადგია ჩვენ ამ ჟამად; მაგრამ არა თუ საზოგადო დახმარებას ვერა ვხედავთ, ამაზედ კერძო პირებისა კი არსად სჩანს. უველანი მაღლა ზეცას შევჩერებივართ და დაბლა — მთავრობას. ხალხი შიმშილითდა სიძვირისაგან წყდება, ლუკმა პურს თხოულობს, — ჩვენ ვანუგეშებთ:

— ღმერთი მოგცემს!

ან

— გუბერნატორთან მიდით და ხაზინა დაგეხმარებათ!

ერთი არავის მოგვივა თავში, რომ ღმერთი ჩიხირთმითა და ბოზბაშით შემკობილ სუფრას არავის არ უმზადებს. არავინ არ ჰფიქრობს იმაზედ, რომ მარტო ხაზინა და სულ ხაზინა ქვეყნის გაჭირებას ვერ განკურნებს, რომ საზოგადოებაც ვალდებულია თავის შეუძლო და გაჭირებულ მოძმეებისათვის იზრუნოს.

განჯაში, შუშაში, ნუხაში, ბაქოში შესდგნენ კერძო პირებისაგან საზოგადოებანი, მოაგროვეს ფული, იყიდეს ამ ფულით ფქვილი და იმ ფასად ჰყიდიან ღარიბ ხალხზე, რა ფასადაც თვითონ დაუჯდათ. ბაქოში კერძო პირებს თვითონ ქალაქის რჩევა (ქალაქის ხაზინა) დაეხმარა, რომელმანც ხუთი ათასის თუმნის პური იყიდა და ღარიბ ხალხზე ჰყიდის.

ჩვენის ქალაქის ღარიბი ხალხიც და არა თუ მარტო ღარიბები, შუათანა შეძლების ხალხიც, დიდს გაჭირებაში არიან ამ სიძვირისაგან. ლუკმა-პური და ლუკმა-ხორცი სანატრელი შეიქნა. მაგრამ აბა ერთი თუ ვისმე მოსვლია თავში აზრი, რომ საზოგადოებას და ქალაქის ხაზინას შეუძლიან ამ შემთხვევაში დაეხმაროს გაჭირებულებსა და დროებით ხელი მოუმართოს.

როგორც განჯაში, შუშაში ისე ნუხაში სომხებმა და თათრებმა მოაგროვეს პურის გაიაფებისათვის ფული და, როგორც ამ მიზნითვე ბაქოს ქალაქის ხაზინამ, ღარიბ მცხოვრებთათვის იზრუნა, — განა თფილისშიაც არ შეიძლებოდა ამის მოხერხება და ამ გვარად ხელის-გამართვა შეწუხებულ ხალხისა? ძალიან კარგათ შეიძლებოდა, მაგრამ მოთავე, საქმის დამწყები, მზრუნველი საზოგადო საჭიროებისათვის არავინა გვყავს. ეს არის ჩვენი უბედურება.

მართალია, ჯერ ჩვენში იქამდინ არ მისულა საქმე, რომ ერთმანეთს ვსჭამდეთ (ოსმალოს სომხეთში, ამბობენ, მამამ შვილი შესჭამაო), არც ძაღლის ხორცი გვიჭამია ჯერ; მაგრამ ნუ თუ იმ დროს უნდა უცადოთ, როდესაც ამ მდგომარეობამდინ მივაღწევთ? ნუ თუ ახლავე თადარიგის დაჭერა არ გვმართებს და ყოველ ღონის-ძიების მოპოება, რომ ხალხი უკიდურესს მდგომარეობაში არ ჩავარდეს?

## ფელეტონი

—

მგზავრის შენიშვნები

(მოგზაურობა არაგვის ხეობაში)

(დასასრული *)

ხახმატობა მოახლოვებული იყო. მე იქითკენაც მსურდა წასვლა, მაგრამ ცუდი გზები მაშინებდნენ. ბლაღოჩინმა დამარწმუნა, რომ ხევსურეთში არ არის მეტად ცუდი გზებიო. მე ვკითხე თამარ-მეფეში ერთს ხევსურს:

— როგორი გზებია თქვენში?

— ძალიან კარგი! მიპასუხა ხევსურმა. მე კვალად ვკითხე:

— ლაშარის გზასთან როგორ მოვლენ თქვენებური გზები? ხევსურმა თავი მოიქექა და მიპასუხა:

— არა, ამისთანა გზები კი რად იქმნება, მაგრამ ჩვენშიც კი კარგი გზებია!

ხევსურმა ტყუილი არ მითხრა: ბევრგან ბილიკიც შესწყდება და უფსკრულს მიადგება ცხენი თუ ჯორი. ცხენი უნდა გადახტეს ზედ და შემდეგ ისე განაგრძოს მოგზაურობა. ამ გვარს გზებზედ თუ არ ნაჩვევი, უჩვეველის ცხენისათვის შეუძლებელია ტარება... მე ჩემს ცხენს ვერ მივენდე და გადავსწყვიტე დაბრუნება...

ბზაზედ, სოფ. შუაფხოში „იახსრობა“ (მღვთის-მშობელია) იყო. აქაც დავრჩი სამი დღე. შემდეგ დავეშვი თავ-თავქვე ისევ ზემოდ აღწერილს საშიშარს გზებზედ. მრავალი ხალხი მიდიოდა ხახმატში მლოცავი მრავალი ცარიელი ცხენებიც მიჰყავნდათ. ამის მიზეზად მითხრეს, რომ „ხახმატში ცხენებიც დაუდიოს სალოცავადაო, რადგანაც (ფშავ-მთიულ-თუშ-ხევსურების აზრით) ვეღარ მოიპარავენო“...

ჩაველით ორწყალთან, შევაყენე ცხენი და გავიხედე ხევსურეთისაკენ. ჩემს თვალებს წარმოუდგნენ ფრიალო „კლდენი თვალ-გადუწვდენელნი“ და შიშველი მაღალი თვალ-აუწვდენელნი მთანი.

ნუთუ აქაც, ამ უდაბურს მთა-კლდე-ღრეშიაც, ქართველთ ტომის ხალხი სცხოვრებს? რათ და როგორ ირჩენს თავსა-მეთქი?! შეშა არა აქვსთ, პური არ მოდის, ცხვრის ყოლა არ შეიძლება, რადგანაც საძოვარი საკმაოდ არა აქვსთ. მაშ რით იკვებება ხევსურის სახლობა?

ვაი იმ ცხოვრებას, როგორც სცხოვრობენ ხევსურები! დაბადების დღიდგანვე იწყებს ძრძოლას ცხოვრებისათვის ბუნების წინაალმდეგ: პატარა ხევსურს აიდგამს თუ არა ფეხსა, მშობელნი თოკით გამოაბავენ სახლის ბოძსა, რომ კლდეში არ გადაეარდეს! ამისათვის არ არის საკვირველი, რომ ხევსურნი ყოველთვის ვაჟკაცობით, უშიშრობით და თავ-განწირულობით ბრძოლაში განთქმულნი ყოფილან საქართველოში. საკმარისია ერთი მაგალითიც ჩვენის აზრის დასამტკიცებლად:

1795 წ., როდესაც სპარსეთის ყეენმა აღა-მაჰმედ-ხანმა დაამარცხა ირაკლი II ქართველის ჯარით და აღილო ტფილისი, ერთი წყობა ჯარისა გაგზავნა არაგვის ხეობისაკენ, „რათა დევნა უყონ ქართველთა.“ ჟინვალის ხიდამდე სპარსთ არავინ იხილეს; ჟინვალთან კი მოეწივნენ შამშადილის (ოსმალეთის საქართველოში) ალი-სულთანსა, რომელიც ირაკლის მორჩილებდა. რადგანაც ალი-სულთანს სულ 200 ცხენოსანი კაცის მეტი არა ჰყვანდა; როდესაც სპარსნი 4,000 კაცამდის იყვნენ, ალი ფრიად შეშინდა. ამ დროს მოვიდნენ ალი-სულთანთან 300 ხევსურნი, რომელნიც წამოსულიყვნენ ტფილისში ირაკლის მისაშველებლად. ხევსურებმა ჰკითხეს ტფილისის ამბავი და რა შეიტყვეს აოხრება ქალაქისა და, აგრეთვე, დაინახეს მოაახლოებულნი სპარსნი, სთხოვეს „ერთობრივ“ ალი-სულთანსა: „წამოხვედ ჩვენთანა, ვითარც მხედართ-მძლევანი მეფისა ჩვენისა (ირაკლის II-ისა), და ერთ-გულნი, და ჩვენ ქვეშე ხელისა შენისა ვბრძოდეთ

*) „დროება“ № 102.

დეს? თუ ბაქოს ქალაქის ხაზინას შეეძლო ამ სამადლო და საზოგადო საქმისათვის 50,000 მანეთის დროებით გადადება, განა ჩვენს ქალაქს კი არ შეუძლიან? თუ ნუხაში და შუშაში აღმოჩნდნენ იმისთანა პირები, რომელთაც რამდენიმე ათი ათასი მანეთი მოაგროვეს, ფქვილი იყიდეს, ფურნეები გამართეს და დაეხმარნენ ხალხსა, განა ჩვენს ქალაქში რიცხვით ნაკლები არიან მდიდრები?

ქალაქსაც შეუძლია, მდიდრებიც გვყავს; მაგრამ, ვიმეორებთ, ჩვენი უბედურება ეს არის, რომ ითაოსნოს იმისთანა ხალხი არ არიან, რომელთაც საზოგადო საქმისათვის გული შესტკიოდესთ, რომელთაც ამ საქმის დაწყება და გაძღოლა შეეძლოსთ. ამაზე უფრო დიდი უბედურება კიდევ ის არის, რომ ჯერაც ვერ გაგვიგია, რომ ერთის რომლისამე წოდების ან ხალხის ნაწილის გაჭირება და დაუძლურება, ადრე თუ გვიან, უეჭველად სხვა ყველა წოდებასაც და მთელ ერსაც დაეტყობა, ყველას დააუძლურებს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, შეძლებულები რომ გაჭირებულებს დაეხმარნენ, ეს მარტო ქველ-მოქმედება და სამადლო საქმე კი არ იქნება, თვითონ იმათი სარგებლობა, დაცვა და მომავალის გაჭირებისაგან თავის დახსნა იქნება...

## ახალი ამბები

—

საქართველოს ყოველის მხრიდამ და აგრეთვე ერევნისა და განჯის გუბერნიიდამ წლევანდელს მოსავალზე ძალიან კარგი ამბები მოგვდის. კახეთიდამ და ქართლიდამ განსაკუთრებით გვწერენ, რომ ჯერ-ჯერობით მშვენიერი მოსავლის იმედი გვაქვსო და თუ შემდეგშიაც კარგი ამინდები დაუდგა, უხვი მოსავალი გვექნებაო.

ამ კარგ მოსავლის იმედს მიეწერება, უეჭველია, ის გარემოება, რომ პურის ფასმა თითქმის ყველგან დაიკლო. ერევნისაკენ და შუშისაკენ მაგალითად ფუთი პური ადრე ცხრა მანეთამდინ იყოვო და ახლა კი 4 მ. და ათ შაურს ზევით აღარ ისყიდებაო.

კალიის გაჟლეტა კი აბრკოლებს თურმე ძალიან ხალხს სოფლის მუშაობაში.

* * *

სიღნაღიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ დიდ-ძალი ტარბი გამოჩენილა იქითკენ ამ მაისის დამდეგსა და ძალიან ბევრ კალიას აფუჭებსო.

ტარბი საზოგადოთ ყველგან ბლომათ არის წელს. თფილისის მაზრაშიაც, ქართლშიაც და კახეთშიაც; მაგრამ ჯერ-ჯერობით, სანამ კალია კუტათ არის და არ დაფრინავს, ბევრს ვერაფერს დააკლებს ამ მავნებელ ბუზან კალას.

* * *

ბევრს უკვირს რომ კალიას ამდენი ხანია ჯერ კიდევ ფრთები არ შეუსხამს არსად. ზოგიერთები ამტკიცებენ, ამის მიზეზი ის არისო, რომ წლევანდელი კალია, მკაცრის ზამთრის გამოისობით, ღონე გამოლეული და უძლური არისო, ამიტომ ისხამს ასე გვიან ფრთასაო და ფრთაც რომ გამოისხას, შესამჩნევ ვნებას ვერ მოუტანს ნამუშევარსაო.

* * *

პეტერბურღიდამ გვწერენ, რომ ჩვენს პატივცემულ მეცნიერს დავით Oესეს-ძეს ჩუბინოვს გაუთავებია თავის ქართული ლექსიკონი და სამეცნიერო აკადემიისათვის წარუდგენია. აკადემიას ლექსიკონი მოსწონებია, მაგრამ, რადგან ერთობ დიდი წიგნი გამოვაო (?!), ამის გამო ავტორისათვის უთხოვნია, რომ ქართულის სიტყვების ახსნა სრულებით დაუტევოს და თუ ამაზე დათანხმდება, მაშინ აკადემია ამ ლექსიკონის გამოცემას თავის ხარჯით იკისრებს. ამაზედ ჩუბინოვი თანახმა არ გამხდარა მაგრამ, როგორც გვატყობინებენ, ჩუბინოვს ჯერ კიდევ იმედი არ დაუკარგავს, რომ აკადემია იკისრებს მთელი ამ ლექსიკონის სრულად გამოცემას.

Oქიდამვე გვატყობინებენ, რომ დ. O. ჩუბინოვი შესდგომია ახალ რუსულ-ქართულ ლექსიკონის შედგენას და ბ-მდინ მისულა.

* * *

პატივცემულ დ. O. ჩუბინოვს შემდეგი შეწევნა აღმოუჩენია „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“: 1) რაც დღემდინ წიგნები დაუბეჭდია, იმის ხელ-ახლად გამოცემის უფლება ხსენებულ საზოგადოებისათვის მიუნიჭებია: 2) რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელსაც ამ ჟამად არდგენს, საზოგადოებამ დაბეჭდოს და ისარგებლოს, მხოლოდ ავტორს 50 ეგზ. მიეცეს და 3) რაც ადრე დაბეჭდილი წიგნები დარჩენია, იმასაც საზოგადოებას სწირავს.

რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა თანაგრძნობისათვის უფ. დ. ჩუბინოვი დიდი მადლობის ღირსია...

## ანგარიში

გამგე კომიტეტისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა დახმარებისათვის

1 მაისიდამ 1879 წ. 1 მაისამდი 1880 წ.

წარსული წლის ანგარიშიდამ, რომელიც განხილული იყო საზოგადო კრებაში 10 მაისს წარსულ წლისას, საზოგადოებას დარჩა 1,312 მან. და 6 კაპ. შემდეგ საზოგადოების თანხას ხელ-ახლავ მოემატა:

| | |
|---|---|
| ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკისაგან — | 13,671 მ. 56 კ. |
| საზოგადოების წევრებისაგან — — — | 427 მ. |
| კომიტეტისაგან გამართულ ბალლისაგან — | 1,549 მ. 31 კ. |
| თავის ხარჯიან პანსიონერთაგან — — | 2,940 მ. |
| სანახევროდ—პანსიონერებისაგან — — — | 385 მ. |
| შინიდგან მოსიარულე შაგირდებისაგან — — | 210 მ. |
| ბრუზინსკის პოლკის აფიცრებისაგან შემოწირული — — — | 59 მ. |
| ტფილისის შეკრებილებისაგან (სობრანიე) შემოწირული — — | 250 მ. |
| სასწავლო ავეჯეულების გაყიდვისაგან — | 69 მ. 15 კ. |
| ბანკში მდებარე ფულების სარგებელი — | 255 მ. 47 კ. |
| სულ | 19,816 მ. 49 კ. |

სულ ერთიანად წასულ წლიდამ დარჩენილიანად საზოგადოების შემოსავალში ითვლებოდა 21,128 მან. 55 კ. აქედამ დაიხარჯა:

| | |
|---|---|
| შკოლის შესანახავად | 13,536 მ. 50 კ. |
| Oტალიაში მოსწავლე მხატვარი ბერიძის სტიპენდიისათვის — — | 918 მ. 21 კ. |
| შესაწევარი დავ. ღვინიაშვილს, ჰერმანიაში სწავლის დასასრულებლად წასრულს — | 150 მ. |
| შკოლის ინსპეკტორად ყოფილს შიო შიუკოვს, რომელიც ჰერმანიაში პედაგოგიურის მიზნით წავიდა ესესხა კომიტეტის ორი წევრის თავდებობით — — — | 150 მ. |
| სულ დახარჯ. | 14,754 მ. 71 კ. |

მომავალ საანგარიშო წლისათვის დარჩა 6,373 მ. 84 კ.

სასწავლებლის წლის დასაწყისში შკოლა ორი კლასისაგან შესდგებოდა ...

---

მტერსა და წარვაქციენეთ იგინი; ხოლო შენ სდევდი მათ მხედრობითა მაგით ცხენოსანით შენითურთ, და დაშთეთ შენ და ყოველივე ელი შენი უვნებელად.“ კარგი მაგალითია:ხევსურნი თვითონ მიდიან მტრის წინააღმდეგ მამულის დასაცველად: „შენ მხოლოდ გვიწინამძღოლეო, ეუბნებიან ალი-სულთანსა, და მტრის დამარცხება ჩვენზე მოაგდეო. ჩვენ ვებრძოლებით, სიცოცხლეს გავსწირავთ და შენ შენის ელით უვნებელი დარჩებიო!.. მართლაც, „ჰყვეს ბრძოლა ფიცხელი სპარსთა მიმართ; სძლიეს, უკუნ-აქციენეს და აოტნეს სპარსნი და რომელნიმე მათგანი მოსრნეს, და რომელნიმე შეიპყრეს და მიუძღვნეს მეფესა, რომელმანცა ანიჭნა მათ ღირსნი ჯილდონი...“

ხევსურნი ყოველთვის, როგორც „ვაჟ-კაცის წესი არის, კაცს შერჩება ძმასავითა.“ მათ ფიცის გატეხას სიკვდილი ურჩევნიათ. აი რა ფიცს აძლევენ მეფეს ერეკლეს 1795 წელს: „თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა განვჰსდევნეთ მტრის ძალი, იყოს შერცხვენილ ვინც ჩვენგანმა შინა წავიდეს ცოცხალი!“ ხევსურთ ფიცი აღასრულეს: „ვაჟ-კაცებრ ხმალი იშიშვლეს და... მივარდნენ სპარსთა ურიცხვსა სიმრავლეს! შეჰსძრეს... გაჰფანტეს... მარამა... ზედ თავიც თვისი დააკლეს!“

გზაზედ დაგვიღამდა. წამოვიდა შავი ღრუბელი, ჭექა-ქუხილი ასტყდა და დაასხა მსხვილმა მთის წვიმამ. საშინელი და ამასთანავე პოეტური ელვა-ჭექა-ქუხილი სცოდნია მთაში! ელვის ნაპერწკლებით გარე-მოცული შევიქნებოდით ხოლმე, მეგონა—აი ეხლავე შთამთქავს ცეცხლი-მეთქი! ერთის მხრით მაშინებდა ელვა, მაგრამ მეორეს მხრით კი შევნატრებდი ზევსსა ხელ-ახლად გაიელვოს-მეთქი. Oსეთი კუმეტი იყო, რომ ვერასფერს ვხედავდით. დრო-გამოშვებით მხოლოდ ელვა გაასინათლებდა ხოლმე იქაურს ველურს არე-მარესა. ვფიქრობდი: ან ახლა და ან ეხლა გადავვარდები არაგვში-მეთქი, რადგანაც ზედ არაგვის-პირზედ მიდიოდა ბილიკი.

არაგვი ისეთნაირად მოხუოდა, მოღრიალებდა და მორბოდა, რომ მისი ძლიერის ზვირთების წუწკლები წამდა-უწუმ გვაშხაპუნებდნენ ტანთ-საცმელზე...

აი ცეცხლებიც გამოჩნდა, ეს შეწუხებულის და დაძმარებულ-დაღონებულის მგზავრის ნუგეში!..

—„აი ჩარგალიც!“ გაიხმაურეს მგზარებმა.

შევედით სოფელში, (მდ. ჩარგლულაზედ), ავედით აღმართზე.

— მანდ ფრთხილად გაატარეთ ცხენები, გაგვაფრთხილა ამ სოფლის მღვდელმა, რომელიც ჩვენთან იყო, „ღრმა-ღრმა და გადსავარდნი კლდეებაო.“

ამ გადავარდნასაც ავსცილდით. წვიმდა ისევ, როდესაც მივედით მღვდლის სახლში. მღვდელმა ჩაი დაგვალევინა, შემდეგ ხინკალი, ხორცი. ჩიხირთმა მოგვიმზადა და გვარიანი ვახშამი გვაჭამა. ვახშმის შემდეგ, რასაკვირველია, მოსვენებას მივეცით. კარგად, თბილად მოგვასვენა მღვდლის მოხუცებულმა დედამ — მადლიანი ადამიანი ყოფილა, ღმერთმა მაგიერი გადუხადოს...

მეორეს დღეს, რაკი შევიტყე, რომ ამ სოფელში შკოლა არისო (ერთად-ერთი მთელს არაგვის ხეობაზე; ხოლო თუშ-ფშავ-ხევსურეთში-სამი: ერთი სოფ. არტანში, მდ. Oორზე, მეორე სოფ. ჩარგალში, მდ. არაგვზე; მესამეც ერწოში), ჩაის შემდეგ მაშინვე შკოლისაკენ გავემართე. შკოლის წინ მშვენიერი ბაღი, მშვენიერისავე გზებითა. ხეხილი იმგვარი; რომელიც სრულიად არ მოიპოვება არაგვის ხეობაში. გზების აქედ-იქით წყლის მილები, სხვა-და-სხვა მხარეს მიმდინარები. რომლებშიაც უჩინარად მიმდინარეობენ წყლის ნაკადულები. ყველა ნაკადულები იკრიბებიან შუა ბაღში ერთს აუზში. შკოლის გვერდით დიდი საჩრდილობელი, დიდის წყლით სავსე აუზით, რომელშიაც გამოუვლელად

და, მაგრამ 1 ნოემბრიდამ კომიტეტმა აუცილებელ საჭიროებად დაინახა მეორე კლასსის უფროსი განყოფილება ცალკე, მესამე კლასსად გადაეკეთებინა, რადგანაც უამისოდ კლასში (მეორეში) ერთობ ბევრი შაგირდები იყვნენ და გარდა ამისა, სამს განყოფილებაში სამივე ცალ-ცალკე სხვა-და-სხვა გვარ ცოდნის იყვნენ.

მესამე კლასსის გახსნით საჭირო შეიქნა კიდევ ერთი მასწავლებლის დაჭერა. სულ ამ საანგარიშო წლის განმავლობაში შკოლას ჰყავდა ერთი ინსპექტორი და სამი მასწავლებელი. მასწავლებელნი ოსტატობის გარდა შაგირდების აღმზრდელობასაც ჰკისრულობდნენ. წელიწადის პირველ ნახევარში ინსპექტორს ჯამაგირი ეძლეოდა ათასი მანეთის ანგარიშით, მაგრამ წლის მეორე ნახევარში საჭიროდ დარჩა ეკონომი—ქალის მოწვევნა და ამის გამო ინსპექტორს მისი თანხმობით ჯამაგირი შეუმცირდა 50 მანეთამდე თვეში. ამ ჯამაგირთანვე ინსპექტორს ყოველისფერი მზად ჰქონდა შკოლაში. მასწავლებელ—აღმზრდელს ეძლევოდა 900 მ. წელიწადში, როცა სახლი შკოლის არ იყო, და როცა სახლი შკოლის ჰქონდა მაშინ კი შვიდასი მანეთის ანგარიშით. შკოლის ექიმს ეძლეოდა წელიწადში 200 მანეთი. შაგირდების რიცხვი შკოლაში სრული იყო, ე. ი. 81 ყმაწვილი. ეს რიცხვი კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ მრავალს ჩვენს თავად-აზნაურთაგანს ღონისძიება საშუალებას აძლევდეს თავიანთ შვილების აღსაზრდელად. სამწუხაროდ კომიტეტს ვერ შეეძლო მათი პანსიონში მიღება თავის ხარჯით, რადგანც ვაკანსია არ იყო. სულ 129 თხოვნა იყო შემოტანილი კომიტეტის ხარჯით აღზრდის მსურველთაგან, და მათში კომიტეტმა მხოლოდ ოცის დაკმაყოფილება შესძლო. 81 შაგირდებში 41 პირველ კლასში სწავლობდა, 31 მეორეში და 9 მესამეში; 68 ყმაწვილი თავად-აზნაურთ შვილებია და ცამეტი კი სხვა-და-სხვა წოდებისანია. ყველა შაგირდები ქართველი გვარტომობის იყვნენ გარდა სამი რუსისა, რომელთაც ქართული კარგად იცოდნენ; სარწმუნოებით ყველანი მართლ-მადიდებელნი იყვნენ გარდა ორი ქართველ—კათოლიკისა (ფრანგისა). ყმაწვილთ წლოვანება 7-დამ 12-მდე იყო. 36 იმყოფებოდა პანსიონში და 45 სახლებიდამ დადიოდნენ. უკანასკნელთ რიცხვში 25 მუქთად სწავლულობდნენ და აგრეთვე სასწავლო კუთვნილებანიც მუქთად ეძლევოდათ; მხოლოდ 20-ს მათგანს შემოჰქონდათ წელიწადში 30 მანეთი სწავლის გადასახადი.

ყველა ოც-და-თექვსმეტივე პანსიონერი სრულს ხარჯზე იყვნენ: მათ შორის 15 საზოგადოების ხარჯზე, 5 სანახევროდ საზოგადოების და სანახევროდ მშობლების, რომელთაც მათ შესანახავად 100 მან. შემოჰქონდათ წელიწადში, და 16 მშობლების სრულს ხარჯზე. უკანასკნელნი იხდიდნენ 200 მ. წელიწადში.

პანსიონერთ მოვლას მართალია სიმდიდრე არ ეტყობოდა, მაგრამ ვერც სილატაკეს შესწამებდა კაცი. კომიტეტი ყოველთვის ცდილობდა პანსიონერები იმისთანა ყოფაში ჰყოლოდა, რომ მათი ჯანმრთელობა სალი ჰყოფილიყო. საჭმელი ოთხჯერ ეძლეოდათ დღეში პანსიონერებს, და არ შეიძლება ითქვას, რომ იგი სათანადო არ ყოფილიყო როგორც რაოდნობის მხრივ, ისე სიკარგისაც, რადგანც თითო პანსიონერის ულუფაზე იხარჯებოდა 35 კაპეიკი.

(დასასრული შემდეგში)

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**გიორგი-წმინდა**, 13 მაისს. „უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო“, ამბობს ქართული ანდაზა. სწორეთ მარტო გლეხებზედ სრულდება ეს ანდაზა:

ჯერ შიმშილმან ლამის მთლად გაანახევროს ხალხი და კაცები კიდევ უარესს უშვრებიან. მაისს 11 ატყდა ერთი საშინელი ჩოჩქოლი ს. გიორგი-წმინდაში და თავ-ზარ დაცემული გლეხები ეუბნებოდნენ ერთმანერთ:

არიქნა თავს უშველოთ, შვილოსან, თორემ რუსის ჯარი და ჩაფრები დადიან სოფლებში და ვისაც დაინახავენ, მოუკლავს არ უშვებენ. ეხლა საგარეჯოში არიან და იქ როცა გაათავებენ ჩხუბს, აქეთ მოდიან.

შეშინებულმა ხალხმა გაგზავნა კაცი საგარეჯოში, შეეტყო—მართლა რა ამბავი იყო. მან გადმოიტანა ამბავი, რომ კალიის ბეგრის ხალხს (689 კაცს) თხოულობენ საგარეჯოზედაო და ვინც რასმეს იტყვის, მისცვივდებიან ჩაფრები და რუსის ყაზახები და სიკვდილზედ მიაყენებენო. ეს რომ გაიგო გიორგი-წმინდის ხალხმა, არ იყო ცოტა არ დაშოშმანდა. ჩვენ სხვა რამე გვეგონა თორემ ხელმწიფის სამსახურს ვინ გაექცევა, კალიის ბეგარაა, უნდა წავიდეთ მაშ რას ვიზამთ; მაგრამ ეხლავე კი ვეცადნეთ, რომ არ ვაწყენინოთ და თუ არ გავაჯავრებთ, რას გვერჩიან, რომ გვცემონო; ალბათ გარეჯელებმა გააჯავრეს და მიტომა სცემესო.

ამ ლაპარაკში და ხორხოროში მოისმა თოფის ხმა, მოისმა მეორეც, მესამეც და შემდეგ რამოდენიმე. ხალხი შეშინებული აქეთ-იქით მიიფანტა, დარჩა რამოდენიმე-ღა რომელთაც დამალვა ველარ მოასწრეს და ორი სუდია. იმ თოფების სროლისათანავე გამოჩნდა შვიდი დაიარაღებული კაცი.

შემოვიდნენ შუა სოფელში თუ არა, დაინახა ერთმა ქათამი და დაახალა თოფი, დაინახა მეორე და იმასაც იგრე უყო; დაინახა ერი ბატკანი და დაუპირა მოკვლა, მაგრამ რაცღა იღბლად დაანება თავი. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით მიიჭრნენ დუქნის კარებთან.

ხალხმა დაინახა თუ არა, მოეგებნენ თითოეულად ცხენების ჩამოსართმევათ, მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, რაც იმათ მოუვიდათ: მიეიდნენ თუ არა ცხენებთან უსვეს და უსვეს ჩვენმა პატიოსანმა ჩაფრებმა მათრახი. გლეხები, საწყლები, პირდაღებულნი შეშჩერებოდნენ და ელოდებოდნენ, ან აგერ გაათავებენ ამ ხუმრობას ან აგეროო; მაგრამ როდესაც გაუხურდათ დატიტვლებული კისრები, მაშინ კი იკადრეს გაქცევა... მაგრამ რაღა დროს? ეს ცემაც არ დააჯერეს: ვისაც კი დაეწივნენ იმ გაქცეულებს, სულ ძვლები რბილად გაუხადეს.

ეხლა გოგოები დაინახეს და დაედევნენ მათაც; იმათ რასაკვირველია სირცხვილისა და შიშისაგან გულს ულონდებოდათ და მიწაზედ გორავდნენ... ბოლოს, როგორც იქნა, მათაც თავი დაანებეს და მამასახლისი მოიკითხეს. მოახსენეს, რომ მამასახლისი შინ გახლავთ და ეხლავ გიახლებათ, კაცი გავგზავნეთო. სუდიები? ისინი სუდში გახლავანო.

წავიდნენ სუდში. შევიდნენ და დაიწყეს ყვირილი—აბა სუდიები რომელნი არიანო? სუდიებიც „დიდის კრძალვით“ წამოდგნენ წინ და მოახსენეს, ჩვენ გახლავართო. აათვალ-ჩაათვალიერეს და დაუწყეს ლანძღვაგინება: აი თქვენ ასეთ-ისეთნო! როგორი სუდიები ხართ თქვენაო? ვინ დაგაყენათ თქვენ სუდიებათაო? ბრძანებაა, რომ კალიისთვის ხალხი გაგზავნოთო!

—ბატონი ბრძანდებით, აი დღეს მოვაგროვებთ და ხვალ დილით ადრე გავისტუმრებთო.

სუდიებმა ბრძანებაზედ ხელი მოაწრეს და ბეჭდებიც დაჰკრეს, რომ გამოგვეცხადა ბრძანებაო.

---

ჰყოლია თევზი წინანდელს აქაურს მასწავლებელს ბატ. ჯაფარიძეს (ეხლა ვგონებ გორშია). ბაღის წინ, ღობესთან, მშვენიერი საჩრდილობელია (ბესედკა); შიგ საჩრდილობელში ქვის სტოლი ამ გვარივე სასხდომებით.

თვით შკოლა დაკეტილი იყო. ბევრგან მინახავს შკოლა, ბევრგან მინახავს დიდი და მდიდრულად მოწყობილი, მაგრამ ამ გვარათ მორთული შკოლის ეზო კი არსად შემხვედრია! სოფ. ჩარგალში გამართულის და შემკობილის ბაღის სიმშვენიერე უნებურად გააღვიძებს პატარა ველურს ფშაველში ესთეტიკურს გრძნობასა და სიყვარულს მშვენიერებისადმი.

ეს ერთი წელიწადია, რაც ახალი მასწავლებელიაო სოფ. ჩარგალში (ბატონი დ. რ—შვილი) და ამ დროის განმავალობაში დიდად შეცვლილა ხსენებულის შკოლის ეზოყურეს ვითარება: თევზების დიდი აუზი ტალახით არის სავსე, ბაღის გზებს შეუკეთებლობა ეტყობა; გარეთ სტოლი და სკამი ჩამოქცეულან; მშვენიერი საჩრდილობელი ძრიელ დაზიანებულა უყურადღებლობისა გამო; წყლის მილებიც მოშლილან და ბევრგან დამტვრეულან კიდეც; ერთის სიტყვით, ახალს მასწავლებელს არავითარი შრომა არ მიუღია თავის შკოლის ეზო-ყურის სიმშვენიერის და გამართულობის დასაცველად.

სწავლის მსვლელობაზე ამ შკოლაში—ვერაფერს მოგახსენებთ, რადგანაც ჩემს იქ მყოფობის დროს შაგირდები დათხოვნილები იყვნენ და სხვის ნათქვამსაც ვერ მივენდე, მეტადრე ამ ჭორებით სავსე დროში...

გამოვეთხოვე ფშავსა და როგორც იყო მოვედი (დავბრუნდი) ზემო-თიანეთში. აქ შემხვდა ერთი ხევსურეთის მღვდელი, გვარად ჭ—ოვი. ძრიელ გამაკვირვა ამ მღვდლის ამ დროს აქ მყოფნამ, რადგანაც ბლოლოჩინი დაიარებოდა ხევსურეთში და მეორეც ამ დროს იქ დიდი დღესასწაულები იყო. რატომ თქვენს სამრევლოში არა ხართ?“ ვკითხე:

—მაინც არას ვაკეთებთ იქა და არც ჰსაჭიროებენ ხევსურები ჩვენში და ტყუილად რა საჭიროა იქ ყოფნა ჩვენი! ნათვლით—თვითონ ნათვლენ; მირონი—თავისი აქვსთ; პანაშვიდს თვითონ ხდილობენ; ზიარებით—არ ეზიარებიან; აბა რაღა საჭირონი ვართ ჩვენ, მღვდლები, იქა?! მითხრა მღვდელმა. მთავრობამ განა არ იცის,ა ნ თვითონ ბლაღოჩინმა, რომ ხევსურეთის მღვდლები წლითი-წლობამდე თავ-თავის სახლებში სხედან, მაგრამ ხმას არ იღებს...

ფეხებზედ ჰკიდიათ ხევსურების განათლება იქაურს მღვდლებსა; რა ენაღვლებათ: ჯამაგირს არ იკლებენ (ცოტას სხვის სასარგებლოდ), შემოსავალსა, თუმცა მცირეა, და ყურადღების მიმპყრობელი არავინ არის! თვითონ „ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებაც“ არა ზრუნავს ამაზედ . . . . . . . . . ეს საზოგადოება ჯერ იმაშია გასამტყუნარი, რომ ფრიად უსაფუძლოდ აქვსთ ჯამაგირები განსაზღვრული მღვდლების შორის. სამართლიანად იქნებოდა უფრო, რომ იმ ადგილას მომეტებული ჯამაგირი დაენიშნა საზოგადოებას, სადაც ცუდი სასვლელი ადგილებია, ძნელი გასაძლისი, არავითარი შემოსავალი. ამ ჟამად ამის წინააღმდეგ არის ჯამაგირების განსაზღვრება მღვდელთა შირის: სადაც კარგი ვაკე ადგილებია, იქ ბევრი ჯამაგირები აქვს, როგორც მაგ. საინგილო მღვდლებისა—600 მ. შემოსავალის გარდა; ხოლო სადაც ცუდი და ძნელია სამსახური. სადაც მღვდელი ყოველთვის შიშის ქვეშ არის—ან ეხლა გადავიჩეხები კლდეში ან ეხლაო, სადაც არავითარი შემოსავალი არ არის,— იქ კი, იმ ადგილების მღვდლები იღებენ ჯამაგირს 200—300 მანეთსა. ხევსურეთის და თუშების მღვდლები 300 მ. იღებენ ჯამაგირს და ფშავისა—200 მანეთსა!

ფრიად უნუგეშო და სამწუხაროა თუშ-ფშავ-ხევსურეთის მდგომარეობა!...

 რ. მამსაშვილი—ნ.

1879 წ. 15 დეკემბერს.

ამ დროს მამასახლიც მოვიდა. შემოვიდა თუ არა მისცვინდნენ ეხლა იმას და სუდიებზედ უარესი დღე იმას დააყენეს. მოჰკითხეს კანდიდატი; იმანაც წამოაყენა თავისი კანდიდატი. „ეს როგორი კანდიდატი გყოლია შე ვირო! რა კანდიდატობა შენძლიან მაგას, ბებერი არისო! ეს იყოს შენი კანდიდატიო!“ წაავლეს ერთს იქ მდგომ კაცს ხელი და მიუთრიეს მამასახლისს.

კანცელარიიდგან რომ გამოვიდნენ, სადილი მოითხოვეს. რასაკვირველია, იმ წამსვე დუქნის-წინ სუფრა გაუშალეს და რაც მათი საამური იყო, მიართვეს. როდესაც დანაყრდნენ ადგნენ და გასწიეს სხვა სოფლისკენ. იმ დუქნიდგან წამავალებს ვინც კი შეხვდებოდათ წინ, ყველას თითო მათრახს უთავაზებდნენ. თუ ხმას არ ამოიღებდა, იმ ერთის მეტი არ ერგებოდა და თუ ვინმე იტყოდა რასმეს, მეორეს და მესამესაც მიაყოლებდნენ. ბოლოს შემოხვდათ ერთი ნალვინევი კაცი. ზადუსვეს მათრახი... არაფრათ ეჭაშნიკა... ზადუსვეს მეორეც და გინებასაც მიჰყო ხელი. მაგრამ ძვირად კი დაუსვეს საწყალს ის გინება: გადმოხტენ ცხენებიდამ და დაუწყეს ცემა. ხალხმა რომ დაინახა, კაცსა ჰკლავენო, გაიქცა გასაშველებლად, მაგრამ ჩაფრები და რუსის ყაზახები დაერივნენ შიშველა ხლმით ყველას და სულ სისხლით შეღებეს. ზოგს მათგანს თავი გაუტეხეს, ზოგს ლაყუჩები და გაუდგნენ გზას...

საშინელ სურათს წარმოადგენდა ამ დროს გიორგი-წმინდის ხალხის გროვა. „არა ამ ბეგრებს გვაწყვეტინებენ, ეს არაფერი, ჯანი გავარდეს რაც არის; მაგრამ ამ ცემას რაღას გვემართლებიან, დახოცილები ან ხელმწიფეს რაღას გამოვადგებით და ან ჩვენს თავსა?“ გაიძახოდნენ ხოლმე ხალხში საზარელის ხმით.

ან კი რა ჰქნას საწყალმა გლეხმა? შიმშილისაგან ფერდი-ფერდს მიჰკვრია, ხვნა-თესვას თავს ანებებს, ბეგარაზედ მიდის და გაისისთვისაც ულუკმო-პუროთ რჩება, და ამასაც არ აჯერებენ, ცემა-ტყეპით სიცოცხლეს უმოკლებენ.

ნუ თუ მართლა ურიადნიკებს და ჩაფრებს მისთვის გზავნიან სოფლებში, რომ ხალხსა სცემონ, დედა-კაცები გააუპატიურონ და მათი დღიური საცხოვრებელი სულ ერთიანად აიკლონ?? იმედია, ამ უწესოებას ღირსეულ ყურადღებას მიაქცევს ვისიც რიგია.

დ. პ.—ლი.

---

# განცხადება
# თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

(დასასრული *)

თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკი უზენაესად დამტკიცებულის თავის წესდების § 16 ძალით აცხადებს, რომ 11 ივნისს 1880 წელს 12 საათზე თფილისში, ბანკის სადგომში სოლოლაკის ქუჩაზე ნ. ყოროღანოვის სახლში № 3, მოხდება საზოგადო გასყიდვა განუმეორებლად ქვემო მოხსენებული პირების მამულებისა, რომელთაც არ შემოუტანიათ თავის დროზე ხვედრი გადასახადი ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 დადგენილი.

**ჩოლოყაშვილი** ილია ზაალის ძე. სახნავი მიწა და ტყე სიგძით 3042 დესიატინა თფილისის ღუბერნიაში სიღნაღის მაზრაში სოფ. ჩიაური. თავნი ვალი 39,426 მან. 81 კაპ. გადასახდელი-ფული 1,660 მან. სულ (41,086 მან. 81 კ.) ორმოცდა ერთი ათას რვაას ექვსი მან. 81 კაპ.

**დოდაშვილისა**, თამარა ალექსანდრეს ასული. საძოვარი მიწა და ტყე სიგრძით 1,020 დესიატინა 1,920 ოთხ-კუთხი საჟ. თბილისის ღუბერნიაში თელავის მაზრაში სოფ. ზემოხოდაშენში. თავნი ვალი 8673 მ. 86 კ. გარდასახდელი ფული 440 მან. 40 კაპ. სულ ცხრა ათას ასს თოთხმეტი მან. 26 კაპ.

**გაბაშვილი**, იოსებ დავითის ძე. სახნავი მიწა სიგრძით 148 დესიატ. 1860 ოთხ-კუთხი საჟ. თბილისის ღუბერნიაში და მაზრაში სოფ. ოქროყანაში, თავნი ვალი 5,421 მან. 11 კაპ. გადახახდელი ფული 273 მან. 20 კაპ. სულ ხუთი ათას ექვს ას ოთხმოცდა თოთხმეტი მან. 31 კაპ.

**ერისთავი**, გიორგი გიორგის ძე. სახნავ-სათესი და საბალახო მიწები 800 დესიატ. თბილისის ღუბერნიაში თიონეთის მაზრაში სოფ. გოჩარმაში. თავნი ვალი 4,739 მან. 17 კაპ. გადასახდელი 214 მან. 16 კაპ. სულ ოთხი ათას ცხრაას ორმოც-და-ცამეტი მან. 33 კაპ.

**გაბაშვილი**, ანდრია მიხეილის-ძე. სახნავი და საძოვარი მიწები 106 დესიატ. 220 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის ღუბერნიაში და მაზრაშივე სოფ. ერთისში. თავნი ვალი 4,936 მან. 50 კაპ. გადასახდელი 329 მან. 98 კაპ. სულ ხუთი ათას ორასი სამოც-და-ექვსი მან. 48 კაპ.

**გაბაშვილები**, იოსებ და ივან იაკობის-ძენი. სახნავი საძოვარი და საბალახე მიწები სიგრძით 309 დეს. 1,856 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის ღუბერნიაში და მაზრაშივე სოფ. თხინვალში. თავნი ვალი 2,961 მან. 89 კაპ. გადასახდელი ფული 140 მან. 21 კაპ. სულ სამი ათას ასს ორი მან. 10 კაპ.

**შალიკოვი**, იოსებ ივანეს-ძე. სახნავი მიწა და ტყე 270 დეს. თფილისის ღუბერნიაში სიღნაღის მაზრაში სოფ. მურჯაანში. თავნი ვალი 4,936 მან. 49 კაპ. გადასახდელი ფული 377 მან. 90 კაპ. სულ ხუთი ათას სამას თოთხმეტი მან. 39 კაპ.

**ამილახვარი**, ივანე თეიმურაზის-ძე. სახნავი მიწა 151 დეს. 1,756 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის ღუბერნიაში გორის მაზრაში სოფ. ნაწრეტში. თავნი ვალი 3,455 მან. 49 კაპ. გადასახდელი 160 მან. 79 კაპ. სულ სამი ათას ხუთას თექვსმეტი მან. 28 კაპ.

**ციციშვილი**, დავით ივანეს-ძე. სახნავი და საძოვარი მიწა 87 დეს. 900 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის ღუბერნიაში გორის მაზრაში სოფ. ქვემო ნიჩბისში. თავნი ვალი 3,961 მან. 69 კაპ. გადასახდელი 181 მან. 30 კაპ. სულ ოთხი ათას ას ორმოც-და-ორი მან. 99 კაპ.

**ჩოლოყაშვილი**, ნიკოლოზ თადეოზის-ძე. სახნავი, საძოვარი და სათიბი მიწები და ტყე 5,774 დეს. 775 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის ღუბერნიაში და მაზრაშივე სოფ. პარდანახში. თავნი ვალი 59,425 მან. 24 კაპ. გადასახდელი 5,093 მან 84 კაპ. სულ სამოც-და-ოთხი ათას ხუთას ცხრამეტი მან. და 8 კაპ.

**შამპუროვისა**, მარიამ დავითის ასული. სახნავი მიწა 12 დეს. 2,320 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის ღუბერნიაში დუშეთის მაზრაში სოფ. საშაბუროში. თავნი ვალი 792 მან. 33 კაპ. გარდასახდელი ფული 29 მან. 35 კაპ. სულ რვაას ოც-და-ერთი მანეთი და 68 კაპ.

**ბარათაშვილები**, იოსებ, გიორგი, დავით, მარიამ და ბარბარე ივანეს-ძენი. სახნავი და საბალახო მიწები 536 დეს. 1,920 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის ღუბერნიაში და მაზრაშივე, სოფ. ქამარლოში. თავნი ვალი 5,942 მან. 60 კაპ. გადასახდელი ფული 263 მან. 48 კაპ. სულ ექვსი ათას ორას ექვსი მან. და 8 კაპ.

**თარხან-მოურავისა**, მარია ბიძინას ასული. სახნავი და სათიბი ადგილები და ტყე 545 დეს. 1,645 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისის ღუბერნიაში გორის მაზრაში სოფ. სათუხარლოში. თავნი ვალი 6,625 მან. 79 კაპ. გადასახდელი ფული 292 მან. 23 კაპ. სულ ექვსი ათას ცხრაას ოც-და-რვა მანეთი 2 კაპ.

**ამილახვარი**, ამირან ამირინდოს-ძე. სახნავი და სათიბი ადგილები ზომით 145 დეს. 1,756 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში სოფ. ნაწრეტში. თავნი ვალი 2,971 მან. 26 კ. გადასახდელი 140 მ. 21 კ. სულ სამი ათას ას თერთმეტი მანეთი 47 კ.

**ანდრონიკაშვილი**, ზაქარია იესეს-ძე. სახნავი ადგილები ზომით 4,765 დეს. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე სოფ. ლემბალოში. თავნი ვალი 59,425 მ. 32 კ. გადასახდელი 2,582 მ. 26 კ. სულ სამოც-და-ორი ათას შვიდი მან. და 58 კ.

**მაღალაშვილისა**, ნინო სარდიონის ასული. ვენახი ზომით 6 დესეტინა ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში სოფ. ბაკურციხეში. თავნი ვალი 2,000 მან. გადასახდელი 89 მან. 8 კ. სულ ორი ათას ოთხმოც-და-ცხრა მანეთი და რვა კაპ.

**ციციშვილი**, დავით ივანეს ძე. ცარიელი ადგილი ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟ. 2 განყოფილების 11 ნაწილში ქ. ტფილისისა. თავნი ვალი 1,200 მ. გადასახდელი 67 მ. 88 კაპ. სულ 1,267 მ. 88 კაპ.

**ამატუნი**, ნაპოლეონ ივანეს ძე. ვენახი, ზომით 2 დესეტინა 90 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის ღუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. ქარდახანში. თავნი ვალი 2,000 მ., გადასახდელი 70 მან. სულ 2,070 მან.

გაყიდვა წესდების § 19 თანახმად ზემო აღნიშნულთ ვალების ჯამიდამ დაიწყება და მათ თან-დაერთვიან სახელმწიფო და ფოჩტის ხარჯის გადასახდელნი (ნედოიმკები). ბანკის თავნი ვალი შეიძლება გადაიხადოს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან მათი ნომინალური ფასით მანეთი მანეთზე, აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით გადატანილ იქმნენ მყიდველებზე; ვადაზე შემოსატანი და სხვა გვარი გადასახდელები კი ნაღდი ფულით უნდა იქმნენ გადახდილნი.

11 ივნისს ამ 1880 წ. დანიშნული გაყიდვა თუ ხეირიანად ვერ მოხდა წესდების § 22 ძალით დაინიშნება მეორე და უკანასკნელი გაყიდვა 26 ივნისისათვის ამა წლისავე.

(3—2)

---

*) „დროება“ №№ 102, 103 და 104.

Дозволено цензурою. Тифлисъ 21 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი